სამშობლო

ოთხშაბათი, 30 მარტი

წელიწადი II.

ფასი: წლიურად 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურად [illegible] 4 აბ. [illegible] დამატებით 7 მ. წლიური ხელის მომწერთ [illegible] ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ, [illegible] მოწერის დროს 4 მ., და ნარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილად. [illegible] პირველ გვერდზე [illegible] ლის 15 კაპ., [illegible] 10 კ. სხვა [illegible] 30 კაპ., უკან 20 კ. [illegible] ბეჭდვა თითოეულ [illegible] 2 საათ [illegible] 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 322 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 322

ტელეფონი № 76.

სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილად ძმობილთ მიჩვენის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა.

ტელეფონი № 76.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრძელდება ხელის მოწერა 1916 წლის

ყოველდღიურ საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთ

წელიწადი მეორე „სამშობლო"-ზე წელიწადი მეორე

გაზეთი გამოვა ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით.

წლიურად გაზეთი ეღირება 9 მ., ნახევარი წლით 5 მ., სამი თვით 2 და 40 კ., თვიურად 80 კ. ცალკე ნუმერი 5 კ. სოფ. სამკითხ. დაეთმობათ 6 მ., მასწავლებლებს 7 მ. წელიწ.

რედაქტორი ი. თ. ცინცაძე. გამომცემელი ამხანაგობა „სამშობლო"

გულდაგულნი მოხუცი მშობლები სამსონი და ანა დაობლებული შვილები თამარ, მაქრო, ტერეზა და ელენე, გაუბედურებული ძმა თომა და რძალი ცეცო მაჭავარიანები აუწყებენ ნათესავთა და მეგობრებს დაკარგვას პირველი შვილისა, მეორენი მამისა, მესამე ძვირფასი ძმისა და უკანასკნელი მაზლისა

პეტრე სამსონის ძის მაჭავარიანისას,

და სთხოვენ მობრძანდენ და დასწრონ მიცვალებულის გამოსვენებას ამა წლის 116 ორ აპრილს დღით შაბათს, სოფელ ბარში, შორაპნის მაზრაში. 2—1

ა/ს. ი. გოკიელის შვილების ქუთაისში

ამით აუწყებს პატივცემულ მეაბრეშუმეებს, რომ

[illegible]ვიდეთ ცნობილი აბრეშუმის თესლი

ხ. ხრისტოდულიდის.

[illegible] წერილებისთვის: ქუთაისი, სავ. სახ. ი. გოკიელის შ-ბის.

დეპეშისთვის: ქუთაისი, გოკიელებს. 60

აბრეშუმის თესლი.

[illegible] შემოზიდულია საფრანგეთ დან და მ დებული თბილისის საბრე[illegible] სადგურში. თესლი ყვითელი აბრეშუმისაა, უკეთესი ხარისხის, [illegible] ცნობილი კავკასიაში და განკებ გამოგზავნილი საქართველოში [illegible]ვრცელებლად. თესლით მიუბრძანეთ გთხოვ: თბილისში მიმართონ [illegible] მე (სასტუმრო ორიენტი) და თბილისის გარეთ ჩემს წარმომადგენლებს, ქუთაისში ფილიპე ნიკოლოზის ძე ჭელიძეს, აბაშაში იოსებ გეგეჩკორს და ბათუმში ამბაკო ნადარეიშვილს.

საფრანგეთის მეაბრეშუმეთა წარმომადგენელი გამოგზავნილი საფრანგეთის მთავრობის მიერ ვადიმ კოსერი. თ.

[illegible]ეითალი.

პ. 3 ნეფროლოვი ღებულობს მოსარჩენათ ავადმყოფ[illegible]ებს დილის 9—10 საათამდი და [illegible] 3—6 საათ. მისამართი: გოსპიტ[illegible] ქუჩა, სახლი ალახვერდიევისა, სამხედრო გოსპიტლის პირდაპირ. თ.

ექიმი

ი. ჩარიძოვი ქალაქ. საავადმყოფოს ორდინატორი. განაბ[illegible], ვენერიულ და სიფილისიანი ავადმყოფ[illegible] მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12 — საათ[illegible] 6—9 საათ, მისამართი: ლევაშოვი ქუჩა, ალიხვანოვის სახლში. თ.

[illegible]ვეზია

მ. მ. კოხრეიძე [illegible]ურის ყვავილს, ჰუ[illegible]თებს ნემსებს, ებმარე[illegible] [illegible] და აძლევს ავადმყოფთ რჩევა-დარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა, თევდორაძის სახლი, [illegible] მაღაზიის პირდაპირ

ექიმი

გაბრიელ იოსების ძე გოკიელის ელექტრონისა და სინათლის კაბინეტი.

[illegible] ნერვებისა და ვენერიულ ავადმყოფები [illegible] დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი

ექიმი

მულინი. ყელის, ცხვირის და ყურების ღებულობს ავადმყოფებს ნაშუადღევის 2—3 საათამდი, საღამოს 6—8 საათამდი, კვირას გარდა.

თბილისის ქუჩა, № 70, სახლი ქაიხოსრო ჯაფარიძისა. 10

მასაჟით სამკურნალო კაბინეტი

მარ. ბალანჩივაძისა.

ვკურნავ მასაჟით, სამკიმო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, პორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავადმყოფობას. ამასთან ვუკეთებ ყვავილსაც და აგრეთვე ნამდვილათ ვარჩენ თავზე კანის ქერცლს, ანუ ქატერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქატერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვივდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავადმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: ვენერალის ქუჩა, ლორთქიფანიძის სახლი. თ 8

ექიმი

ა. მ. ახათიანი. განაახლა ავადმყოფების მიღება (ქალურ) ვენერიულ და შინაგან ავადმყოფების ყოველ დღე დილის 11—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე, პუშკინისა და ბალახვანის ქ. კუთხე, სახლი № 2. თ.

ელექტრო „რადიუმი" თეატრი

ორშაბათიდან, 28 მარტიდან აჩვენებენ

მეცინარეს და მის ხეობას.

მაღაზიიდან გამოპარებული ქალი ანუ

სხვისი ბავშვი

ძლიერი დრამა, ფრანგთა საუკეთესო მსახიობთა მონაწილეობით.

კარაპუზმა გერმანელს უკბინა

მეტად კომიკური.

ელექტრო „ამპირი" თეატრი

ორშაბათიდან, 28 მარტიდან ნაჩვენები იქნება საუცხოო სურათები

სანახაობა დიდი უდაბნო სანახაობა

მგელი ცხვრის ტყავში.

სამ ნაწილად თანამედროვე ცხოვრებიდან მონაწილეობენ საუკეთესო მსახიობნი.

ყველა ბერი არ არის, ვისაც ბერის ტანისამოსი აცვია. კომედია ორ ნაწილად

ელექტრო-თეატრ რადიუმსა და ამპირში, 30 და 31 მარტს და 1 აპრილს, მხოლოდ სამი დღით, ორივე თეატრში ნაჩვენები იქნება

იერიში არზრუმის და დაცემა.

ორ დიდ განყოფილებათ. გადაღებულია ბუნებიდან სკობელევის კომიტეტისაგან დაწვრილებით აფიშებში.

ბურახი (კვასი) „ესპერანტო"

ადუღებული წყალით, პურით და ხილეულობით მომზადებული, ანალიზ გაკეთებული, მარგებელი, სასიამოვნო სასმელი, იყიდება თფილისის ქუჩაზე ვლადიმერ წერეთლის სარდაფში, ერთი ლიმონათის და ნარზანის ბოთ. 7 კ., ბორჯომის ნახევარი ბოთლი 8 კ., ლუდის ბოთლი 10 კ., შამპანიურის ბოთლი 12 კ., ბორჯომის ბოთლი 15 კაპ.,

ვინც ამ ბოთლებს ადგილობრივ გაახსნევინებს და მიირთმევს, ან თავის ბინაზე მიატანიებს ყველა ბოთლის ფასზე თითო კაპიკი მოემატება. ბურახი შეინახეთ ცივათ, გასძლებს ათ დღეს და მეტსაც.

თუ ბურახი ტკბილი და შუშხუნაა — შეაჩერეთ ერთ დღეს და დაიპრიდება. ბურახი (კვასი) ერთნაირი კეთდება თუ უვარგისობით განსხვავება ნახოთ, ჩვენ მოსთხოვეთ მოპტანს პასუხი, რადგან იარლიკიან ბოთლებში თურმე სხვებიც ამზადებენ ნაპალევათ თავის ბურახი (კვასს).

პატივისცემით კვასის მწარმოებელთა 12—9 გამგეობა.

ექიმი

შალვა კოკოჩაშვილი იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავადმყოფებს ნაშუადღევის 1—3 საათ. და საღამოს 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ნიჟარაძის № 46. ტელეფონი № 87. 14 თ.

იყიდება

ბალახვანის შესახვევში, ალექსანდროვის ხეტყის საწყობის გვერდით სამოსახლო ადგილები.

მიმართეთ ადვოკატის ქუჩაზე, აკოფოვის სახლში №3

113 1—თვით.

უმაღლესი მთავარ-სარდლის შტაბისაგან.

დასავლეთის ასპარეზი.

28 მარტი. მდ დვინის ხაზზე თოფის სროლაა. ზოგიერთ ადგილებში გერმანელები შეეცდენ თხრილების გასაკეთებლად მუშაობის დაწყებას, მაგრამ ჩვენ ყველგან ხელი შევუშალეთ. რემერგსჰოფის რაიონში გერმანელების პაეროპლანები ყუმბარებს ჰყრიდენ. ტბა ვიშნევსკის სამხრეთ აღმოსავლეთით მტერმა არტილერია აამუშავა. დვინის არხზე მტერი ჩვენ ბანაკში ყუმბარებს ჰყრიდა. სოფ კომოროს რაიონში პინსკის ჩრდილო დასავლეთით ჩვენ გემებით მტერი გვიახლოვდებოდა, მაგრამ არტილერიით უკუ-ვაგდეთ. ქვემო სტრიპის ნაწილში ჩვენ მტრის ერთი თხრილი დავიპყრეთ წამოვიყვანეთ ტყვეებიც

კავკასიის ასპარეზი.

ბუიბურთის მიმართულებით ჩვენი ჯარი ავიწროებს მტერს და წინ მოიწევს. მტრის ცდა-უნაყოფოდ რჩება. მტერს ბრძოლის დროს დიდი ზარალი მოსდის. ჩვენ ჯარს ბრძოლა უხდება თოვლიანს და მიუვალ ადგილებში. დიარბექირის მიმართულებით გეოუპიტოვამდე მტერი შევავიწროვეთ ბითლისის რაიონში ჩვენ უკუ ვაგდეთ მოიერიშე ოსმალები. ურმიის ტბის ჩრდილოეთით ბრძოლაა ქურთთა ძლიერ რაზმთან, რომელსაც ზურგს უმაგრებს ოსმალოს რეგულიარი ჯარი

— —

დანარჩენი დეპეშები იხილე მე-4-ე გვერდზე.

ომის ამბები.

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

გერმანელთა ძალა დვინის ფრონტზე.

,,რუსკი ინვალიდის'' ცნობით გერმანელების ლაშქარი, რომელიც რგივა-დვინსკის ფრონტზე იბრძვის და რომელსაც გენერალი ბელოვი წინამძღოლობს, 200,000 ჯარის კაცისაგან შესდგება.

ავსტრია და ბულგარეთი.

სოლუნის საწინააღმდეგო ოპერაციაში მონაწილეობისათვის ბულგარეთმა გაზეთების გადმოცემით ავსტრიისგან ტერიტორიალური კომპესაცია მოითხოვა, რაზედაც ავსტრიამ კატეგორიული უარი უთხრა.

ბულგარეთი და საბერძნეთი.

მონასტრიდან იტყობინებიან; ბულგარელი აფიცრები ყველას აშკარად ეუბნებიან, რომ ბულგარეთსა და საბერძნეთ შორის ომი აუცილებელია, რადგანაც ბულგარეთი მოპოვებულ გამარჯვების შემდეგ არას გზით არ დათანხმდება, რომ სალონიკი საბერძნეთის ხელში დარჩეს.

იტყობინებიან აგრეთვე, რომ ის სახლი, სადაც მონასტირის ბერძნის მიტროპოლიტი სცხოვრობს, ბულგარეთის ჯარებით არის გარშემორტყმულია: ბულგარელებს უნდათ ეს მიტროპოლიტი შუაგულ ბულგარეთისაკენ გაგზავნონ, რადგან მას ჯაშუშობა ბრალდება

ბულგარეთის შინაური მდგომარეობა

სოფიიდან იტყობინებიან: მთავარ მინისტრმა რადოსლავოვმა ფერდინანთან შეთანხმებული ბრძანება გასცა, რომ ყოფილი მინისტრი სტამბულოველი გენადიევი და მისი სიმამრი დაიპატიმრებიათ; დაპატიმრეს აგრეთვე სხვა გამოჩენილი სტამბულოელები, ყოფილი მინისტრები, რომლებიც ერთ დროს სტამბულოვის პოლიტიკას ატარებდენ. ყველა დატუსაღებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ომი.

(დ ღ ი უ რ ი)

კავკასიისა და ოსმალეთ-სპარსეთის ფრონტზე რუსეთის ჯარი ზემო ჰორობის ხეობაში წინ მიდის ბაიბურთისკენ ტრაპიზონის მიმართულებით მსვლელობა შეფერხდა: აქ ოსმალეთის ჯარი ხშირად კონტრიერიშებით მოდის, მაგრამ ყოველთვის მარცხდება. ოსმალეთში დიარბექერის მიმართულებით რუსის ჯარმა ოსმალეთის ჯარი ძალზე შეავიწროვა; ბითლისის რაიონში კი ოსმალებმა სცადეს რამდენიმე იერიში, მაგრამ აქაც ყოველთვის უკუქცეულ იქმნენ. სპარსეთში რუსის ჯარს ქურთთა რაზმი შეება, მათ ხელს ოსმალეთის რეგულიარული ჯარიც ხელს უწყობს და ეხმარება შეტაკების შედეგი ჯერ გამოქვეყნებული არაა.

რუსეთისა და ავსტრია გერმანიის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა: აქ წყალდიდობის მიზეზით ბრძოლა ჯერ კიდევ არ გამწვავებულა: ორივე მხარე მომავალი შეტევისთვის ემზადება და ორივე სცდილობს, რომ მოწინააღმდეგის მზადებას ხელი შეუშალოს მდ. დვინის მთელ ფრონტზე საარტილერიო ბრძოლას და თოფის სროლას განაგრძობდენ; მხოლოდ გერმანელებმა რემერს - გოფში (დვინის მარჯვენა მხრით მდებარე სადგურზე) და ქალაქ დვინსკში ჰაეროპლანებიდან ყუმბარები ბლომათ ჩამოყარეს: რა ზიანი მოყვა ამას, ეს არაა გამოცხადებული. პინსკის რაიონში ს კომორაში გერმანელები ისევ შეეცადენ ნავებით იერიშის მოტანას, მაგრამ უკუქცეულ იქმნენ მდ. სტრიპის ქვემო ნაწილის რაიონში კი რუსეთის ჯარმა გაიმარჯვა: ავსტრიელთა პოზიციის ერთი სანგარი აიღო.

საფრანგეთ — ბელგიისა და გერმანიის ფრონტზე საერთოთ ბრძოლა განელდა, არსად საყურადღებო შეტაკება არ მომხდარა მხოლოდ ვერდენთან გერმანელებმა ახლა ისევ ფართო იერიშები დაიწყეს 20 ვერსის მანძილზე მდ. მაასის მარცხნით და მარჯვნით ორივე მხრიდან კვლავ სასტიკი ენერგიული იერიშით წამოვიდენ და, როგორც თვითონ ოფიციალური დეპეშა გადმოგვცემს, მირტომის ახლო მდებარე 295 № მაღლობთან სამასი საჟენი მანძილით წინ წამოვიდენ

სხვა ფრონტიდან ცნობები არ მოსულა ინგლისმა ყველა 18—19 წლის ყმაწვილი ჯარში გაიწვია: ინგლისში მილიტარიზმი დამყარდა.

ლებს სახელმწიფოს ღალატს აბრალებენ ბულგარეთის მეფეს, ფერდინანდს რევოლუციონური მოძრაობის განვითარების შეეშინდა და ამიტომ ბრძანა მთავრობას თავის მოქმედებაში სრული თავის უფლება მიანიჭა ამიტომაც ახლა ბულგარეთში სდევნიან ყველას. ვინც კი გაბედავს და მთავრობას საგარეო პოლიტიკას კრიტიკულად შეეხება. სოფიის დამცველი ჯარი, გორნიზონი დიდათ გააძლიერეს, ვინაიდან მთავრობა ბულგარეთში დიდ არეულობას მოელის

განხეთქილება კოოპერატივში

ჟენევიდან იტყობინებიან: შვეიცარიის კოოპერატივების კავშირის გამგეობამ კავშირის სახელით გერმანიის სამხედრო სესხზე ხელი მოაწერა 3,000,000 მანეთზე ამაზე შვეიცარიის რომანულმა (ფრანგებმა და იტალიელების ნაწილმა კოოპერატივების კავშირისამ სასტიკი პროტესტი განუცხადა გამგეობას; ამ განხეთქილების გამოსარკვევათ ახლო მომავალში კავშირის საზოგადო ყრილობა უნდა მოხდეს.

ახალი სარდალი გენერალი ბრუსილოვი.

როგორც გაზეთებიდან ვიცით უმაღლესმა მთავარ სარდალმა, ხელმწიფემ თავის მთავარ მრჩეველათ დ მცველათ მიიწვია რუსეთის სამხრეთ დასავლეთის ფრონტის ჯარების მთავარ სარდალი, გენერალი ივანოვი; მის მაგივრათ ხსენებულ ფრონტზე, გენერალი ბრუსილოვი დაინიშნა. გენერალი ბრუსილოვი დღემდე მერვე არმიას ხელმძღვანელობდა იმავე ფრონტზე რუსეთის ჯარებიდან არც ერთ არმიას იმდენი ღვაწლი და გმირობა არ მიუძღვის რამდენიც მერვეს, რომელმაც თავიდანვე მთელი რუსეთის ყურადღება მიიპყრო. მან თავი გამოიჩინა „დამპალ ცაცხვთან ბრძოლაში, აქ გენერალმა ბრუსილოვმა ავსტრიის მესამე არმია სასტიკათ დაამარცხა და ამით პირველ ხანებში გალიციის ბრძოლის ბედი ერთი დაკვრით გადაჭრა. შემდეგ გასოცარია ამ არმიის მოქმედება კარპატების მაღლობებზე; მან რამდენჯერმე გადალახა კარპატები და ის იყო უნგრეთის ველისკენ უნდა გაელაშქრნა, რომ ომის მსვლელობამ მას პერემიშლის დაცვა არგუნა წილად მაგრამ, რადგან მთავრობამ მას საკმაო სამხედრო მასალა ვერ მიაწოდა იგი იძულებული გახდა პერემიშლი ავსტრიისთვის დაეთმო სულ ოცი თვის განმავლობაში გენერალ ბრუსილოვს რვა დიდ ბრძოლაში გაუმარჯვნია, ბრძოლით ერთხელ დამარცხებულა, 1915 წლის მაისში და ეს დამარცხება მდგომარეობდა მხოლოდ პერემიშლის დათმობაში; ამის მიზეზი კი, როგორც ზემოთ არის ნათქვამი სამხედრო მასალის და იარაღის უქონლობა იყო. ეს ცხადდება დღეს უმაღლეს რესკრიპტში და რაც დღემდე ყველასთვის დაფარული იყო.

ქ რ ო ნ ი კ ა

რ უ ს ე თ ი.

გადასახლების უფლების მოსპობა

სამოსამართლო რეფორმების კომისიამ, რომელმაც ზოგ წოდებრივ უფლებათა შეზღუდვა გაუქმების კანონპროექტი განიხილა, ერთხმათ დაადგინა, რომ ერობის უფროსებს ამიერიდან ნება აღარ ჰქონდეთ ადმინისტრატიული წესით საზოგადოებათა მამასახლისები დაატუსაღონ

კომისიაში კამათი გამოიწვია თვითონ საზოგადოების იმ უფლების გაუქმების საკითხმა, რომლის ძალით სოფლის საზოგადოებას ნება ეძლევა საზოგადოების არა სასურველი წევრი გადაასახლოს

კომისია დიდი კამათის შემდეგ მომხსენებელს დაეთანხმა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის წინააღმდეგობის მიუხედავათ დაადგინა, რომ ამიერიდან სოფლის საზოგადოების განაჩენების" ძალით საზოგადოებიდან აღარავინ გადაასახლონ.

მრეწველთა შეშფოთება.

ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრმა, მინისტრთა საბჭოში შეიტანა საკანონმდებლო წინადადება, რომელიც განსაკუთრებულ კომიტეტის დაარსებას მოითხოვს რომელმაც ტყავეულობის, სელლუფის ბამბეულობის და ზოგ სხ გვარ მრეწველობის მოწესრიგებას მსგავსათ მრეწველობის ყველა დარგები უნდა მოაწეს რიგოს და ფასებიც უნდა განსაზღვროს. ამ წინადადებამ ძალზე შეაშფოთა რუსეთის მსხვილი ვაჭარ მრეწველნი, რისთვისაც გადაწყვიტეს, რომ ასეთ კანონპროექტის წინააღმდეგ ზომები მიიღონ. მრეწველთა საზოგადო ყრილობამ დაადგინა, რომ სასტიკი პროტესტი წარადგინონ ასეთი კანონპროექტის წინააღმდეგ საკანონმდებლო დაწესებულებებში და მიმართონ ყველა სამრეწველო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, რათა გამოსთქვან თავიანთი აზრი ისეთ საკითხის შესახებ, რომელიც „სამშობლოს მრეწველობისა და ვაჭრობის ინტერესებს საგრძნობლათ ეხება.

ქართული პრესა.

ქართული ეკლესიის საკითხს კვლავ საფრთხე მოელის, ვინაიდან ამ ჟამად სინოდში უკვე გამზადებულია პროექტი, რომ სოხუმის ეპარქია საქართველოს საეგზარხოსოს ჩამოაშორონ და შავი ზღვის ნაპირა გუბერნიას შეუერთონ ამ გვარათ, თუ ეს პროეკტი სინოდისა უზენაესად დამტკიცებულ იქნა, მაშინ საქართველოს ეკლესიის გაერთიანების მაგიერ დანაწილება მოელის, რასაც თავისი შესაფერი გავლენა ექნება საერთოდ სოხუმის ოლქის, ამ საქართველოს საუკეთესო ნაწილის ჩამოჭრაზე, შავის ზღვის გუბერნიასთან შესაერთებლად.

ამის გამო „საქართველო" სწერს:

„ქართული ეკლესიის საკითხი ერთი მუჭა ქართველ სამღვდელოების საკითხი როდია. იგი არც სხვა რომელიმე ერთი წოდების საკითხია. როგორც რელიგიურ-სარწმუნოებრივი სიმბოლო, ქართული ეკლესია მთელი ქართველი ერის საკითხია. ქართული ეკლესიის ადგილ მამული და ქონება, რომელიც მრავალი საუკუნის არსებობის განმავლობაში მთელს საქართველოს ხელით დაუცავს, დღესაც მთელი საქართველოს საკუთრებას წარმოადგენს. ქართული ეკლესია ჩვენი ეროვნული ორგანიზმის სადი ნაწილი იყო, იგი ერთი უძლიერესი ფაქტორი იყო ჩვენს ეროვნულ შემოქმედებაში და ჩვენი ქვეყნის პოლიტიკურ ჩამოქნა-განმტკიცებაში დიდი ამაგი მიუძღვის

დღეს კი ქართული ეკლესია ვერ ასრულებს თავის დანიშნულებას, იგი დაშორდა ქართველის სულს, თვით დაეცა, გაიძარცვა ყოველის მხრივ და ჩვენი ეროვნული ჩამოქვეითების იარაღად გადაიქცა. საჭიროა ქართული ეკლესია თავის ბუნებრივ კალაპოტში ჩადგეს, ისევ ისე დაუახლოვდეს ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ სულსა და მოთხოვნილებას, კვლავ გახდეს ერთ ერთ ფაქტორად ეროვნული ცხოვრების განმტკიცების საქმეში. ქართული ეკლესიის დაცვა ერთნაირად ევალება ყოველ შეგნებულ ქართველს, რომელი წრისა და წოდებისაც არ უნდა იყოს.

ქართული ეკლესია ეროვნული განძია და ამ განძისთვის თავის გამოდება მთელი ერის საქმეა.

მართლაც რომ დამაფიქრებელია ეს საკითხი ჩვენ — ქართველებისათვის, — და ვისაც კი გული შესტკივა ჩვენი ეროვნული აღორძინებისათვის, ყველამ თავისი ძლიერი ხმა უნდა აღიმაღლოს

საჭიროა მთელმა ქართულმა პრ... საზოგადო დაწესებულებებმა, სამღვ... ლოებამ და მთელმა ხალხმა სათან... ანგარიში გაუწიოს ამ არა სასურველ მ... ლენას ქართული ეკლესიის ცხოვრებ...

პროვოკაცია, თუ სისულელ...

ეს ერთი ხანია, რაც ქუთათური მ... ბე „სახალხო ფურცლისა" უსინდისო ... უტიფარ ცნობებს აწვდის ხოლმე ჩვე... გაზეთისა და ჩვენის ჯგუფის შესახებ ... გაზეთის რედაქციას.

ჩვენ არა ერთხელ აღვნიშნეთ ა... სიყალბე ქუთათურის მოამბისა, მა... „სახალხო ფურცლის" რედაქციამ ... ყურადღება არ მიაქცია და კვლავ უ... დავს ყოველგვარ სისულელეს

აი, გუშინდელ ნუმერშიც („სახ... №538. ასეთი ამბავია დაბეჭდილი

„ეგრედ წოდებულ ჩვენებურ ... ციონალ-დემოკრატებს", დიდი მზა... აქვთ სათავად აზნაურო კრებისათ... რომელიც 4 მაისს დაიწყება. მათ ... ზრახვა აქვთ ნაცვლად დ. ო. ... ეარაძისა სავუბერნიო წინამძღოლ... ადგილზე წამოაყენონ ვ. მიქელა... კანდიდატურა".

ნათქვამია: საყდრის კარი ღია ... ძაღლს ნამუსი არა ჰქონდაო.

და სწორედ საყდრის წამბილწველ ... უტყვად მიგვაჩნია ისეთი მოამბე, რო... ლიც პროვოკაციასაც არ ერიდება ოღო... კი თავისი ჯგუფური, ქინიაობა დაიკ... ყოფილოს!

საჯაროდ ვაცხადებთ, რომ ჩვენ, ... ციონალ დემოკრატებს, ჯერ ამის... არა გვიფიქრია რა, რასაც ჩმახავს ქუ... თური მოღაყბე „სახალხო ფურცლის... დროა შეეგნონ ეგრედ წოდებუ... „ნაციონალ ფედერალისტებმა", რომ ... ვითარ სიყალბეს არ ვაპატიებთ და მტ... ნებს და მოლაქლაქეებს მტყუვნის კარამ... მიყვებით, ვინაიდგან ამას მოითხოვს რ... ლური ინტერესი ჩვენი ერისა, რომელ... ასე სათამაშოდ გაუხდიათ ჩვენ მომაკვე... ეგრედ წოდებულ „სოციალისტ ფედე... ლისტებს'".

„სინათლის- საზოგადოების საყ... რადღებოთ.

სახალხო უნივერსიტეტის საზოგადო... ბის კრებაზე ზოგიერთი მოძმე „ჩვე... მეგობრის" რედაქციისა ამტკიცებდა: კ... ლტურულ დაწესებულებათა კავშირის ...

სოციალური უტოპიები.

(წერილი მეთორმეტე).

(ფედერაცია და ავტონომია).

(შემდეგი იხ. „სამშობლო" № 321.)

რა გზით იქნება შესაძლებელი ამ იდეალის განხორციელება? საჭიროა თუ არა ამისთვის წინასწარი შეთანხმება ჩვენს მეზობლებთან, ე ი. თათრებთან, ლეკებთან, სომხებთან და სხ ?

ჩვენი აზრით ამგვარი წინასწარი შეთანხმება — უტოპია არის და, რამდენადაც უფრო მოვინდომებთ შერიგებას, მით უფრო გავამწვავებთ უკვე არსებულს უთანხმოებას

მოვიყვანოთ ამის დასამტკიცებლად ისტორიული მაგალითები.

ჩრდილო ამერიკის 13 ახალშენი რომ ინგლისს აუჯანყდა და ბრძოლა გამოუცხადა, ამ ახალშენებს ბრძოლის დროსაც კი. როდესაც ასე საჭირო იყო ერთობა, გაუჭირდათ შეთანხმება. პირველი შეტაკება მილიციონერებისა ინგლისელთა მცირე რაზმთან მოხდა 19 აპრილს 1775 წ. 10 მაისს 1775 წელს შეიკრიბა ფილადელფიაში 13 ახალშენის წარმომადგენლობა, ან კონგრესი, რომელმაც რევოლუციონური როლი აასრულა. 1776 წ. მარტში ვაშინგტონმა აიღო ბოსტონი. 1776 წ. 4 ივლისს კონგრესმა გამოაცხადა ამერიკის დამოუკიდებლობის დეკლარაცია. 1781 გათავდა ომი და 30 ნოემბ. 1782 ინგლისმა აღიარა ჩრდილო ამერიკის დამოუკიდებლობა.

სწორედ გაზურებული ომიანობის დროს, ე ი. 1777 წელს კონგრესმა მიიღო ისეთი საკავშირო კონსტიტუცია, რომელიც ერთობ სუსტ კავშირსა ქმნიდა და ისიც მხოლოდ 1781 წელს იქმნა ყველა შტატის მიერ აღსარებული და დამტკიცებული. თვითეულ ავტონომიას ეშინოდა, არ წართმეოდა თავისი დამოუკიდებლობა, და არ უნდოდა დაეთმო რომელიმე სხვა შტატისათვის საკანონმდებლო უპირატესობა. მეორე მხრით არ ენდობოდენ ცენტრალურს აღმასრულებელ მართებლობას.

28 მაისს 1787 წელს შეიკრიბა ეროვნული კონვენტი, რომელმაც ოთხი თვის კამათის შემდეგ დიდი გაჭირვებით მიიღო (17 სეკტემბერს) ის საკავშირო კონსტიტუცია, რომელიც მოქმედობს დღემდის. მაგრამ, როდესაც კონსტიტუცია თვითეულს ავტონომიურ ერთეულს საკუთარი საკანონმდებლო გადაწყვეტილებით უნდა დაედასტურებია. შტატს ვირგინიას გაუჭირდა მისი მოწონება, მაგრამ როგორც იყო შევიდა კავშირში.

ყველაზე უფრო ნიუ-იორკის შტატი გაჯიუტდა, რომელმაც დიდი შინაური ბრძოლის შემდეგ მხოლოდ 26 ივლისს 1788 წ აღიარა კონსტიტუცია. ამას გარდა ჩრდილო კაროლინამ მიიღო კონსტიტუცია 21 ნოემბერს 1789 წლისა და როდ აილანდმა მხოლოდ 19 მაისს 1790 წ., თუმცა კონსტიტუცია 1789 წლიდან შევიდა ძალაში

გერმანიის სახელმწიფოთა და ავსტრალიის ავტონომიურ ერთეულთა კონფედერაციებად გარდაქცევას რამდენიმე ათი წლის მოლაპარაკება და ცდა დასჭირდა.

მაგრამ ვერავზით ვერ მოხერხდა ავსტრო-უნგრეთში ჩეხთა და გერმანელთა, უნგრთა და ხორვატთა, გერმანელთა და იტალიელთა, პოლონელთა და რუსინთა და სხვათა შეთანხმება. ამიტომ ავსტრო-უნგრეთის პოლიტიკური ცხოვრება განუწყვეტელს შინაურ ბრძოლას წარმოადგენს.

და, თუ კი ერთი ტომით დასახლებულ სახელმწიფოთა და ავტონომიათა შეთანხმებაც კი სჭირს, როგორღა უნდათ მოახდინონ პოლიტიკური შეთანხმება მაგალითად სომხეთა და ქართველთა შორის? რასაკვირველია, ეს შეუძლებელია და მაშასადამე უტოპია არის, რომელსაც რეალურ პოლიტიკასთან საერთო არა აქვსრა.

მაშასადამე ჩვენ უარვყოფთ, როგორც უტოპიურს, განუხორციელებელს, ამგვარს წინასწარ შეთანხმებას ჩვენს მეზობლებთან და ჩვენი ეროვნულ-ისტორიულისა და ტერიტორიალური უფლების შესახებ მხოლოდ ველიკოროსებთანა და რუსეთის სხვა ნეიტრალურ ერებთან გვექნება ლაპარაკი

გვეტყვიან, მათი თანაგრძნობის მოპოვებისათვის საჭიროა სამართლიანი მოთხოვნათ. რასაკვირველია: ჩვენი მოთხოვნა ისტორიულსა, ეთნოგრაფიულსა, ტერიტორიალურსა და ეკონომიურ საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს.

ამიტომ საქართველოდ აღვიარებთ: თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებს. ყარსის ოლქის იმ ნაწილს (კოლას, ერუშეთს, არტაანს, ოლთისს), რომელიც გამაჰმადიანებული ქართველებით არის დასახლებული, სოხუმის ოლქს, ბათუმის ოლქს ართვინითურთ და ლაზიკას, თუ კი უკანასკნელი რუსეთს შემოუერთდება.

ლაზიკას თუ გამოვაკლებთ, ეს ტერიტორია დაახლოვებით 80 კვ ვერსია და მცხოვრებთა რიცხვი თითქმის 3 მილიონს უდრის, ქართველები კი ამ რაოდენობის 66°/₀-ს შეადგენენ. რაც შეეხება სხვა ერებს, რუსებისა და საზოგადოდ სლავების რაოდენობა არ აღემატება 4°/₀ ს, ოსებისა 3°/₀-ს, თვითეული სხვა ერის რაოდენობა კი უმნიშვნელოა.

მაშასადამე რადგან თვითეული სხვა ერის რაოდენობა ქართველთა რაოდენობასთან შედარებით ერთობ მცირე და უმნიშვნელოა, ეს ქვეყანა ეთნოგრაფიულად ქართველთა ტერიტორიად უნდა ჩაითვალოს, მით უფრო, რომ სომხები, რომელნიც საერთო რაოდენობის თითქმის 20°/₀ ს შეადგენენ, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არიან გაბნეული და ამიტომ მათი დენაციონალიზაცია აუცილებელია. იმას კი არ აქვს მნიშვნელობა, რამდენ პროცენტს შეადგენს რომელიმე ერი, არამედ უმთავრესად იმას, მჭიდროდ მოსახლეობს თუ გაბნეულია.

მართალია ახალ ქალაქის მაზრასა და ბორჩალოს მაზრის ნაწილში სომხები შედარებით დიდ უმრავლესობას შეადგენენ, მაგრამ ეს მაზრები ეკონომიურად ტფილისის გუბერნიის განუყრელ ნაწილს წარმოადგენენ და რომ საქართველოს ჩამოშორდენ და ერევნის გუბერნიას მიეკრონ, მათი ეკონომიური სიკვდილი აუცილებელი იქნება

ავსტრიის გამოჩენილი სოციალისტები შპრინგერი და ოტო ბაუერი — ამბობენ: თვითეულ ქვეყანას იქ უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო და სადმინისტრაციო ცენტრი, სადაც ეკონომიური ინტერესები მოიპოვება ამ თვალთახედვით მაგალითად ახალქალაქელ სომხებს ტფილისში უნდა ჰქონდეს ცენტრალური სასამართლო, რადგან ტფილისელ ვაჭართან აქვს გასასწორებელი საქმე და სხ. იმავე დროს შპრინგერისა და ოტო ბაუერს შეხედულების თანახმად საქართველოს სომხებს უნდა ჰქონდესთ ეგრეთწოდებული კულტურულ ეროვნული, ან სასკოლო, ავტონომია მთელი რუსეთის სომხობასთან ერთად, მაგრამ ამგვარი უტოპია ჯერ არსად განხორციელებულა და, უეჭველია, არც როდესმე განხორციელდება.

დავუმატოთ ამას კიდევ ისიც, რომ ხსენებული მაზრები რამდენიმე ათას. წლის განმავლობაში ქართველთა სისხლითა და ოფლით მორწყული არიან, აგერ ახლა გამოეცალათ ხელიდან და მაშასადამე ქ... რთველებს, თუ მეტი არა, ისეთივე ისტო... რიული უფლება მაინც აქვსთ მათზე, რო... გორც ებრაელებს იერუსალიმზე.

მეორე მხრით ჩვენ კულტურული უ... ლების ძალითაც შევიძლია მოვითხოვ... რომ ხსენებული მაზრები საქართველოში... ვე დარჩენ. ქართველებს არაოდეს არ შე... წუხებიათ სომხები, პირიქით ყოველთვ... მფარველობდენ მათ, და საქართველ... სომხების მშვიდობიან ვაჭრობასა და მ... შაობას ქართველები არა თუ არაოდ... წინ არ გადაღობებიან, არამედ პირიქ... ხელს უწყობდენ ამიტომ ეს ორი ე... ისე დაუახლოვდა ერთმანეთს ზნე-ჩვეუ... ბით, ენითა და კულტურული ვითარ... ბით, რომ მათ შორის სარწმუნოებრი... განსხვავება და სუფევს

არ უნდა დავივიწყოთ იმავე დრო... რომ, ვინც სომხად აღიარებს თავს, ნა... ხევარიც არ არის სომეხი. მ... გალითად, ხატისაშვილები, თუმანიშვი... ლები, ჯანაშვილები, გველესიანები ... სხ. — ტომით ქართველები არიან და მხ... ლოდ სარწმუნოება აქვსთ სომხური.

რისთვის უნდა გადავკარგოთ ერევნი... გუბერნიაში და შევაჯახოთ თათრებთან ... ისინი, რომელნიც საქართველოში მშვ... დობიანად და კეთილად ცხოვრობენ?! რ... სთვის უნდა შეეწიროს ამდენი ხალხ... სხვერპლად ზოგიერთი შოვინისტის ცრ... ეროვნულ პოლიტიკას?!

განვიმეორებ: ახალქალაქისა და ბორ... ჩალოს მაზრების საქართველოსაგან ჩამო... ჭრა და ერევნის გუბერნიისთვის მიკუთვ... ნება უპირველესად თვით ხსენებული მ... ზრებისთვის იქნებოდა საზიანო. მეორე... მხრით ქართველი ერისთვის ეს დიდი უბე... დურება იქნებოდა და ამის გამო ქართვე... ლთა და სომხეთა შორის დაუსრულებე... ლი შფოთი და განხეთქილება ჩამოვა... რდებოდა

...მოითხოვს, რწმუნებულთა ფარუ... ...ენ ყრით არჩევანს და, მართლაც, ...ნი ყუთების საშუალებით მოხდა. ...ნათლის" საზოგადოებამ კი თავისი ...ბულნი მართლა თხოვნის წინაალ... ...მარაოების საშუალებით მოახდინა ...სინათლის რწმუნებულნი კავში... ...ან არ დაითხოვონ, ეხოხოკ გამგეობას ...ენი მეორეჯერ დაინიშნოს.

ყრთა „სინათლის" წევრთაგანი

ახალი ამბავი.

ქ უ თ ა ი ს ი.

...მავალი თვის სამ აპრილს ქ ოზურ...ში დღის 12 საათზე დანიშნულია სა...ო კრება გურიის სასოფლო სამეურ... საზოგადოების დამაარსებელთა. იმე... ამ საყურადღებო თათბირს ჩვენი ...ზოგადოებები მეტს ყურადღებას მიაქ...ენ.

...ორშაბათს, 28 მარტს, ქუთაისის ...ნატორათ ნამყოფი ბ-ნი პოტუ...ი უკვე გაემგზავრა ბაქოს. იგი სად...მდე გააცილეს თავ. აზნ. წინამძღოლმა ...ო. ნიჟარაძემ, ქალაქის მოურავმა ი ...სქოვანმა და სხვა პირებმა

ქალთა საზოგადოების კრება.

...შაბათს, 28 მარტს. შავი ქვის საბჭოს ...ახაზში დანიშნული იყო ქუთ. ქალთა ...ოგადოების კრება, რომელსაც უნდა ...ერჩია კულტურულ კავშირში გასაგ...ნათ სამი წარმომადგენელი, საღამოს ...საათზე დარბაზი გაივსო ქალებით. ბი... ...სიჭრელის გამო კრება გადაიდა ...ქის თვითმართველობის დარბაზში ...თავჯდომარეთ უმცირესობამ დაასახელა ...ჩიქოიძისა, უმრავლესობამ კი—კატო ...ლაძე მიუხედავათ იმისა, რომ ქ-ნი ...ძისა უმცირესობამ აირჩია, იგი მაინც ...მოშორდა თავჯდომარის ადგილს, ...ის გახსნას შეეცადა და არც ადგილი ...უთმო ქ ნ კატო მიქელაძეს. უმრავლე... ...საგან არჩეულ თავჯდომარის ამ გა...ოებამ ერთი აურ-ზაური გამოიწვია ...რესობის მომხრე გამგეობის თავ...მარის ამხანაგმა რაკი დაატყო, რომ ...გადო კრების თავჯდომარეთ ამორ...ლ იქნებოდა უმცირესობისათვის არა ...ეული პირი კრება დახურა და პო...ას აცნობა, რომ პასუხის მგებელი ...ისა არა ვარო. ამ დროს ლევ დადე...ლანი შეეკითხა მიზეზს კრების და ...ისა და ან რათ მიმართა პოლიციას. ...ქელიანს აუხირდა უმცირესთა ...ის რამდენიმე მომხრე და ცოტა ...ლდა დიდი უსიამოვნება არ მოხდა. ...ბა დიდის აყალ-მაყალის შემდეგ გა...დევა.

...მაშასადამე ვისაც სურს იყოს მშვიდო...და მეგობრობა ქართველთა და სომეხ ...შორის, უნდა ისურვოს, რომ ახალ...ლაქისა და ბორჩალოს მაზრები, რო...რც დღეს არიან, შემდეგშიაც საქარ...ელოს ნაწილებადვე დარჩნენ.

...ვევე უნდა ვთქვათ ზაქათალის ოლქის ...სახებაც.

...რაც შეეხება ყარსის ოლქის იმ ნაწილს ...მელიც ქართველი მაჰმადიანებით არის ...სახლებული. უეჭველია, მესხეთს უნდა ...უერთდეს, რადგან, ჯერ ერთი, იქ სო... ...ნი ცოტაა და, მეორე, რადგან ამ ქვეყ... ...ს მცხოვრებნი სარწმუნოებით, ზნე ჩვე...ულებითა და ჩამომავლობით მესხების ლვი... ...ლ ძმები არიან და სომხებთან არაფე... ...ი არა აქვსთ საერთო.

...რაც შეეხება ლაზებს, ისინი გამაჰმა...დიანებული მეგრელები არიან და თუმცა ...ეს არ მოეპოებათ ეროვნული შეგნება, ...გრამ სარწმუნოებით, ზნით, ჩვეულები... ...და ჩამომავლობით აჭარლებს ენათესა...ვიან და მაშასადამე უშუალოდ, უჩხუ...ად, მშვიდობიანად და მეგობრულად ...ოლოდ აჭარლებთან შეუძლიათ ცხოვ...რება. და ამას, უეჭველია, გეოგრაფიუ... ...ი სიახლოვე და მჭიდრო ეკონომიური ...ავშირიც ხელს შეუწყობს. ამიტომ მი... ...ჩუკოვის აზრი, ლაზისტანი მომავალი ...ესხეთის ავტონომიას უნდა შეუერთდე... ...უთუოდ შეუწყნარებელია.

როგორცა ვთქვით, ჩვენ ვამყა... ...ბთ ჩვენს უფლებას აგრეთვე კულტურულ-...ურნულ საფუძველზე. ჩვენს ერში, უკვე ...ი ხანია, სოციალური სხვადასხვაობა, ...დიფერენციაცია, რომ წარმოიშვა. ერთი ...რით განვითარდა ინტენსიური მეურნე... ...ბა და მეორე მხრით გაიფართდნენ სავაჭრო ...ცენტრები. ქვეყანას რომელსაც მოეპოება ...ეთი ქალაქები, როგორც თბილისი ...(1914 წ. 344,629 მცხოვრები), ქუთაისი

◆ სამოქალაქო საქმეთა წევრთა კრება, რომელიც დანიშნული იყო ორშაბათისთვის არ შესდგა. კრება ამ დღეებში მოხდება.

◆ ამ ჟამათ ქუთაისიდან ფოსტით რუსეთში ეილაცეე'ი დიდძალ თაფლის სანთელს აგზავნიან, მაშინ როდესაც აქ დიდი მოთხოვნილებაა მისი. საჭირო ყურადღების მიქცევა

უკვე გამოქვეყნდა ცირკულიარი, სადაც აღნიშნულია სტუდენტების ომში გაწვევის დრო.

ქუთაისის გუბერნატორმა ნება დართო ალექსანდრა გიორგის ასულს ყიფიანს გახსნას დ. ლანჩხუთში ქალთა პროფესიონალური სასწავლებელი

◆ ოზურგეთის ქალაქის საბჭოს 21 მარტის სხდომაზე დაადგინეს პურზე და ხორცზე შემდეგი ნიხრი: პური 1 ხარისხის $7\frac{1}{2}$ გირვან. 2 ხარ. $6\frac{1}{2}$ კ. 2 ხარ. $5\frac{1}{2}$ კ. ხორცზე ძროხის ხორცი 1 ხარისხი 6 შ გირ მეორე ხარისხის 5 შ 3 ხარ ერთი აბაზი და ღორის ხორცი ერთი აბაზი გირვანქა. ეს დადგენილება დასამტკიცებლათ წარუდგინა გუბერნატორს.

◆ ხვალ, 31 მარტს, დანიშნულია ქუთ. ქალაქის თვითმართველობის საბჭოს სხდომა, რომელზედაც გაირჩევა შემდეგი საკითხები ა) ქუთაისის გუბერნატორის წინადადება, რომ კრებას გამოუცხადონ მეფის ნაცვლის კანცელარიის დადგენილება, რომელიც შეეხება კავკასიის ებრაელების მონაწილეობის მიღებას ქალაქის თვითმართველობაში; ბ) საბჭოს საპენსიო საშტატო კომისიის წინადადება ქალაქის თვითმართველობის მოსამსახურეთა ახალი შტატის შემუშავების შესახებ და მათი ჯამაგირების დაწესება და სხვა.

◆ ქუთაისის ქალაქის განათების გამგე ბ. ვასილ ამაშუკელი ატყობინებს ქალაქის ინჟინერს, რომ მას გასაშინჯავათ მოსვლია გაზის ფარნებისათვის ბადეები რუსეთში დამზადებული როგორც გადმოგვცეს, ეს ბადეები ბევრად უკეთესი გამოდგარა, ვიდრე საზღვარგარეთელი და სხოვს რომ ყველა ფარანზე დაიდგას ასეთი ბადეებით.

◆ ქ. შ წ. კ გამ. საზ. განყოფილების გამგეობა სთხოვს ქალაქის გამგეობას მისცეს სტამბის მომუშავის მალანიას მეუღლეს ქალ. სავადმყოფოში ერთი საწოლი.

◆ ქუთ. პოლიციმეისტერი სთხოვს ქალაქისთ თვითმართველობას, დააჩქაროს პოლიციისა და ცეცხლის მქრობელი რაზმისათვის ჯამაგირის შეტანა ხაზინაში.

◆ ოზურგეთის ქალაქის თვითმართველობამ უკვე წარუდგინა ქუთაისის გუბერნატორს 1916 წ. ქალაქის ხარჯთ აღრიცხვა დასამტკიცებლათ. მთელი შემოსავალი ქალაქისა ნავარაუდევია 41,635 მან, 26 კ და ამდენივე გასავალი.

სოხუმის ქალაქის თვითმართველობამ შუამდგომლობა აღძრა ქუთ. გუბერნატორის წინაშე, რომ ნება დართოს სოხუმში აგონ კომერციული ნავსადგური

◆ დღეს 30 მარტს დანიშნულია ს კურიების საკრედიტო ამხანაგობის წევრთა კრება

(60 მცხ.), ისეთი მშვენიერი ნავსადგურები, როგორც ბათუმი (38,000 მც.), ფოთი (20,000 მც.) და სოხუმი (20,000 მც.), ისეთი დაბები, როგორც გორი (18,500 მცხ.), თელავი (დაახლოებით ამდენივე მც.), სიღნაღი (18,000 მც.), ახალციხე (23,000 მც.) და სხ., ცხადია ეკონომიური განვითარების პირველი საფეხური უკვე განვლილი აქვს.

დაუმატეთ ამას კიდევ ის, რომ ინტელიგენტთა რაოდენობის მხრით ქართველი ერი რუსეთის არცერთს დაწინაურებულ ერს არ ჩამოუვარდება.

ამიტომ დღითი-დღე მატულობს სახალხო ბანკებისა და კოოპერატივების რაოდენობა და, იმედია, მოკლე ხანში ამ დაწესებულებათა ქსელი მთელ საქართველოს მოეფინება.

ქართული ისტორიულისა და თანამედროვე ლიტერატურის ღირსება ხომ უკვე საყოველთაოდ აღსარებულია.

ამგვარად რუსეთის დემოკრატიის წინაშე ხელცალიერი კი არ წარვსდგებით, არამედ სამართლიანობის საჭურველით, რომელიც გარემეიცავს ეთნოგრაფიულს, ტერიტორიალურს, ეკონომიურს, კულტურულსა და ისტორიულ უფლებათ. და ფედერალისტების მიერ არა ერთჯერ გამოთქმული აზრი, რუსეთის დემოკრატია მხოლოდ მაშინ დაგვიჭერს მხარს, თუ ჩვენს სამართლიან უფლებებზე ხელს ავიღებთო, ყოველსავე საფუძველს მოკლებულია.

მაგრამ რა გზით, რა საშუალებით შეგვიძლია მივაწიოთ მიზანს? ყოველივე საშუალებითა და ღონისძიებით, რომელიც კი ლეგალურს, კანონიერ გზას არ გადასცდება ქართველ ერს მხოლოდ ლეგალური გზით შეუძლია მოიპოვოს თავისი უფლებანი!

ვასილ წერეთელი

საჭირო განმარტება.

„ცხოვრების" მეხუთე ნომერში, ილია ხონელის შესახებ მოთავსებულ სტატიაში მამა ჩემი, გიორგი წერეთელი, და დედინაცვალი, ან. თუმანაშვილი წერეთლისა, ისე უზრდელათ და უღირსათ არიან მოხსენებული, ისეთი უწმაწური სიტყვებია ნახმარი მათ მიმართ, რომ არავითარი ამგვარი მე ჯერ ქართულ პრესაში არც მინახავს და არც მსმენია.

მე დარწმუნებული ვარ, რომ ილია ხონელს არასოდეს არ უთქვამს ის რასაც ახლა მას ათქმევინებენ; ამნაირ ბინძურ ვითომ და მოსწრებულ სიტყვას, ის არც თავის თავს ჰკადრებდა და არც მამა ჩემს; და რომ ეკადრებინა, უთუოდ იქვე ღირსეულ პასუხს მიიღებდა. ცხადია, ყველა ეს მოგონილია, ამიტომაც ამ შემთხვევის მოწმობით მხოლოდ მიცვალებულები არიან დასახელებული; და ეუზომოთ მაკვირვებს ქალბა ბ. რომანოზ ფანცხავასი, რომელსაც თავი ყოველთვის მამა ჩემის მეგობრათ და დიდ პატივისმცემლათ მოჰქონდა, ახლა კი თავის ჟურნალში ასეთ უწესო რასმეს ჰბეჭდავს მის შესახებ.

ელ. დუმბაძე-წერეთელი.

ქ. ქუთაისი. 27 მარტი.

P.S ახლავ უწესოთ არის მოხსენებულნი ჩვენი მეორე დიდი მოამაგე ილიაც და კარგს იქნებოდა პატივცემული რედაქტორი „ცხოვრ." ცოტა გულ მოდგინეთ გადაეკითხა ეს წერილები და ისე დაებეჭდა. ჩვენ კარგათ ვიცით აზრი ბ. რედაქტორისა ჩვენს მოღვაწეებზე და გვიკვირს რად ბეჭდავს ამ წერილებს შეუმოწმებლათ. სამწუხაროთ დღეს საჭირო მასალები ხელთ არა გვაქვს და ამიტომ პასუხს ვერ გაძლევთ არსებითად. ჯერჯერობით ამ შენიშვნით აღვნიშნავთ ჩვენს უკმაყოფილებას ამ წერილების უშენიშვნოთ დაბეჭდვის გამო. ნუთუ დიდებნის მიცვალებულ მოღვაწეებზე მაინც არ შეგვიძლია მიუდგომელათა და სამართლიანათ მსჯელობა?!

რედ.

სახალხო უნივერსიტეტის წევრთა საზოგადო კრება.

(დასასრული. იხილე „სამშობლო" № 321).

დ. უზნაძე ემხრობა სახალხო უნივერსიტეტის მოღვაწეობის შემცირების შესახებ გრ. გველესიანისა და ექ. ბადრიძის აზრს და სხვა მრავალ მიზეზის შორის უმოქმედების მიზეზათ ასახელებს გამგეობის წევრთა რიცხვის შემცირებას.

გ. ნიორაძე იმეორებს ზემო აღნიშნულ ორატორთა აზრს და თავისი მხრით უმატებს, რომ ლექციებზე დამსწრეთა რიცხვი თანდათანობით კლებულობდა და ამის ერთერთ მიზეზათ ის უნდა ჩაითვალოს, რომ ხალხისათვის შეუფერებელ თემებზე იკითხებოდა ლექციები.

ია ეკალაძე პასუხს აძლევს ყველა ბრალმდებელ ორატორს, რომელნიც უმოქმედობას უკიჟინებენ გამგეობას. ორატორი აკრიტიკებს იმ განცხადებას ორატორებისას, რომელნიც ომს უნივერსიტეტის უმოქმედობის მიზეზათ არ სთვლიან. ამ უმოქმედობაში უმთავრესი ბრალი ყველას მიუძღვის, აცხადებს ორატორი, განსაკუთრებით კი იმ ინტელიგენციას, რომელიც ყოველ საქმეს აღფრთოვანებული ეგებება და შემდეგ კი თანდათანობით გულგრილობას იჩენს, საქმეზე ხელს იღებს და ღვთის ანაბარა სტოვებს. ჩვენ გავაკეთეთ ის, რის გაკეთებაც შეგვეძლო და თუ ვისმეს გული შესტკიოდა და მეტის გაკეთება შეეძლო, რატომ არ მობრძანდენ კარები არავისთვის არ დაგვიხშვია, მაგრამ უბედურება სწორეთ ის არის, რომ ჩვენ ლაპარაკი და სხვისი გაკრიტიკება უფრო გვიყვარს, ვიდრე საქმის გაკეთებაო.

პასუხი გასცა აგრეთვე ბრალმდებელ ორატორებს გამგეობის წევრმა ექ. **ნასარიძემ** განსაკუთრებით ყურადღება მიაქცია ბ. ნიორაძის სიტყვას და დაამტკიცა, რომ სახალხო უნივერსიტეტში განყენებულ თემებზე ლექციები არ წაკითხულა და რაც კი წაიკითხა, ყველა ხალხისათვის სრულიად გასაგები, მისაწდომი და ფრიად საჭირო იყოვო (მაგ. მოიყვანა ლექციები ჰიგიენიდან).

გ. ალ. ალ. გარსევანიშვილმა მოკამათეებს შესაფერი პასუხი მისცა და ფაქტებით დაუმტკიცა, რომ დღევანდელ პირობებში გამგეობას იმაზე მეტის გაკეთება არ შეეძლო, რაც გააკეთა, ისიც იმ დროს, როცა გამგეობაში მხოლოდ რამდენიმე პირი დარჩა და მე როგორც თავჯდომარე ერთსა და იმავე დროს მდივნისა და ხაზინადარის როლსაც კი ვასრულებდიო, რამაც, სხვათა შორის საზოგადო კრების თავის დროზე მოწვევაც კი შეუძლებელი გახადა.

მომავალ კრებაზე, ბ-ბო, სთქვა ბ. ორატორმა, ციფრებით დაგიმტკიცებთ, რომ ომმა არა თუ აქ, საერთოდ ყველგან, მთელს იმპერიასა და მსოფლიოში საგრძნობლათ შეამცირა სახალხო უნივერსიტეტების მოქმედებაო.

კამათის შემდეგ ფირცხალაიშვილმა წინადადება შემოიტანა შესწყდეს კამათი, რადგანაც საკითხი გამორკვეულია და თანახმათ ტუსკიას შესწორებისა ანგარიშები დამტკიცდეს და სახალხო უნივერსიტეტის გამგეობას მოღვაწეობისათვის გამოეცხადოს მადლობა

შემოტანილი იყო სხვა წინადადებებიც, მაგრამ კრებამ ხმის უმეტესობით მიიღო ფირცხალაიშვილის წინადადება

ამის შემდეგ დაისვა საკითხი გამგეობის წევრების არჩევისა

აკ. ფაღავამ წინადადება შემოიტანა, გამგეობის არჩევამდე აერჩიათ კულტურულ კავშირში მონაწილეობის მისაღებათ სამი წარმომადგენელი.

ეს წინადადება კრებამ უარჰყო. შემდეგ გამგეობის წევრების არჩევას. წამოყენებულ იქნა ერთი ჯგუფისაგან სია კანდიდატებისა ამ სიის წაკითხვის შემდეგ გაიმართა კამათი, რამაც მწვავე ხასიათი მიიღო. ილაპარაკეს ჰუბაბრიამ, კიტა აბაშიძემ, ალ. წერეთელმა, გრ. ლაღიძემ, გრ. გველესიანმა, დ. უზნაძემ, აკ ფაღავამ და შოთა დადიანმა. ყველამ ერთხმათ აღნიშნა ამ სიაში ერთი თვალსაჩინო ჯგუფის (?!) კანდიდატების გამოტოვება და წამოაყენეს თავისი კანდიდატების სია.

ამ თვალსაჩინო ჯგუფის შესახებ ილაპარაკეს ევგენი გეგეჭკორმა, ნიკო ლორთქიფანიძემ, ალ. თორაძემ და ტრიფონ ჯაფარიძემ. საერთოდ ყველა ორატორმა ხაზი გაუსვა იმ „თვალსაჩინო ჯგუფის" ცალმხრივობას ყველა საზოგადო დაწესებულების არჩევნებში, მაგალითად მოიყვანეს „სინათლის საზოგადოება", ეთნოგრაფიული საზოგადოება და სხვა. აღნიშნეს, რომ ეს თვალსაჩინო ჯგუფი იქ, სადაც თავის ძალასა ხედავს, აწარმოებს ბეჰმანურ პოლიტიკას (გეგეჭკორი), ხოლო იქ, სადაც თავს სუსტად გრძნობს, შეთანხმებასა და სოლიდარობაზე ლაპარაკობენო

ტრ. ჯაფარიძე ბ. ბ., თუ დავუკვირდებით ჩვენი ქვეყნის დღევანდელ მდგომარეობას და წარმოვიდგენთ რა წერტილზედაც სდგას დღეს მისი საზოგადოებრივი განათლება, დავრწმუნდებით, რომ დღევანდელი კრების სურათი სინამდვილეს არ ეთანხმება. აქ გამოდის ორი ჯგუფი და ერთი მეორეს პირველობას ედავება, სხვას ვერავის ამჩნევენ და იმიტომ თავი მოაქვსთ ჩვენი ქვეყნის პატრონ-ჰირისუფლათ. სამწუხაროთ ივიწყებენ, რომ მათ გარეშე დიდი ელემენტია, ნამდვილი ეროვნული რწმენით ალტრუელი, რომელსაც იურიდიულათაც და ზნეობრივათაც სხვაზე ნაკლებ არ ეკუთვნის უფლება სამშობლოს კეთილდღეობაზე იზრუნოს. **ამ ეროვნულ წრეს** ვერ ხედავენ სოციალისტური ჯგუფები და ჩაღიან დიდ უსამართლობას. ვისაც ჭეშმარიტი დემოკრატიზმი მართო ენაზე არ აკრავს, ვინც რწმენით პატივსა სცემს მოქალაქეობრიობას და იცავს არჩევნების სწორ პრინციპს, ის აქ ვერ ულალატებს სამართლიანობას, თორემ თავის თავს დაამარცხებს. რა ნება აქვს რომელიმე ჯგუფს თავის თავს თვალსაჩინო უწოდოს, როცა ჯერ გამოსაჩენი არც არა გაკეთებულა? შემცდარია ორივე ჯგუფი თეორეტიულადაც და პრაქტიკულადაც. თუ თეორიას მივსდევთ, ვერ უარვყოფთ, რომ დღეს საქართველო განიცდის **დიფერენციაციის** ხანას, რომლის შემდეგ უსათუოდ დადგება ინტეგრაციის ხანა. ნუ თუ რომელიმე ჯგუფს შეუძლია დღეს დაიძახოს, შემდეგ ხანაში უპირატესობა მე მექნებაო? პრაქტიკულ სფეროში რაც ხდება, ამას დღევანდელი კრება გვიმტკიცებს და აი როგორ:

აქ წარმოდგა ცალმხრივი სია, ბძანებენ ერთი ჯგუფის წარმომადგენელნი. მართალია ეს სია ცალმხრივია და მე პირადად სრულიად ვეწინააღმდეგები ცალმხრივობის პრინციპს, მაგრამ ზნეობრივ მოვალეობად მიმაჩნია ვუთხრა უკმაყოფილო ჯგუფს, რომ ძან სხვა კრებაზე, სადაც ... ... თხვევ თ თავის ძალა დაინახა, ცალმხრივობა კი არა სრული მონოპოლია გაატეხა და პრინციპზე სიტყვაც არავის დაუძრავს ვინც მონოპოლიას აკანონებს, ის სხვას ცალმხრივობას ვეღარ უსაყვედურებს. აქ სამართლიანობა შელახულია.

უკმაყოფილო ჯგუფის წარმომადგენელნი ბძანებენ, - დავიცვათ ის პრინციპი, რომ კულტურულ დაწესებულებაში ყველა ჯგუფის წევრმა იმუშაოსო; კარგი და პატიოსანი, მაგრამ სხვა კრებაზე რათ უღალატეს ამ პრინციპს? მართლაც, თუ სახალხო უნივერსიტეტი კულტურული დაწესებულებაა, განა ყველა კულტურულ დაწესებულებათა კავშირი კულტურული არ არის და იქ მონოპოლია შესაწყნარებელია?

რა პრინციპია ის პრინციპი, რომელსაც პარტიული საზომი ყოველ დღე სახეს უცვლის? და რა რწმენაა ის რწმენა, რომელიც დიად პრინციპს ერთგან აღიარებს და მეორეგან ასამარებს?

ასეთი მოქმედება ამწვავებს გარემოებას, უნაყოფოდ კარგავს ენერგიას, სჩაგრავს სამართლიანობას და გვაშორებს იმ საერთო მიზანს, რომელსაც ყველა უნდა ვემსახურებოდეთ.

ამის შემდეგ კენჭი უყარეს წამოყენებულ სიებს და ხმის უმეტესობით გაიდა პირველი ჯგუფის წამოყენებული სია

ხმის უმეტესობით გამგეობაში არჩეულ იქმნენ: ნიკოლაძე კატო, ხელთუფლიშვილი ელენე, მაჭავარიანი თამარ, გრიგოლაია ლონგინოზ, რობაქიძე სერგო, გოგიჩია ივანე, ხვიჩია აკაკი, სირაძე მალაქია, ემუხვარი ვლადიმერ, ასათიანი თედორე, წიქორიძე ილია, გარსევანიშვილი ალექსანდრე, სოკოლოვსკი ნიკოლოზ, მეძმარიაშვილი ლიზა, ბახტაძე ილია, შენგელაია ლეო, სალაია ტრიფონ და გუგუნავა იოსებ

სარევიზიო კომისიის წევრებათ: იაეკალაძე, ოკუჯავა მიშა, თორაძე ალექსანდრე, კილაძე სამსონი და გრ. გიორგაძე

კენჭის ყრით აირჩიეს კულტურულ კავშირში წარმომადგენლებათ: ევგენი გეგეჭკორი, ალ გარსევანიშვილი და გრ. გიორგაძე.

კანგელი.

მცირე შენიშვნა

მწერალი, რომელიც წარსულზე წერს რასმე მოგონების, ანუ კრიტიკის თვალსაზრისით ვალდებულია ფაქტები სიმართლით აალაპარაკოს და იოტისოდენა სიცრუე არ გაურიოს შიგ, რომ მკითხველი საზოგადოება შეცდომაში არ შეიყვანოს და რომელიმე პიროვნებას განგებ შეურაცყოფა არ მიაყენოს.

ბატ. ლ. ლ. ბახტაძეს კი ისეთი სიცრუე გამოუცხვია თავის მოგონებაში (ილია ბახტაძე — ხონელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. იხილე ჟურნალი „ცხოვრება" № 4 გვერდი 17.) ნეტარ ხსენებულ გაბრიელ ეპისკოპოსზე, ხომ არ შემიძლია ორიოდე სიტყვა არ აღვნიშნო მისი უსაფუძვლობა.

„ჯერ კიდევ პეტროგრადში ყოფნის დროს, დაბეჭდა რამდენიმე წერილი სტასულევიჩის გაზეთ „პორიადოკში" გედათის გაძარცვის შესახებ. ავტორი თხოულობდი ფიცხელ გამოძიებას. წერილები მკაცრი და გესლიანი კილოთი იყო დაწერილი ასე, რომ უნებლიეთ მიიპყრეს მთელი საქართველოს ყურადღება".

ეს ის დრო იყო, როდესაც ამგვარ საგანზე ლაპარაკი დიდ გმირობას და პასუხის გებას მოითხოვდა მწერლისაგან გაბრიელმა ქუთაისის ეკლესიის კათედრიდამ გასცა პასუხი წერილების ავტორს. მაგრამ მის პასუხში წყევა კრულვის მეტი არაფერი იყო წერილების ავტორისადმი. უმთავრესს საგანს კი ეპისკოპოზმა გაბრიელმა მორიდებით გვერდი აუარა თავის სიტყვაში".

იმ დროს, როდესაც გელათის ნივთებზე საქმე გამწვავდა, მე გაბრიელის კრებულში ვმსახურობდი. არცერთ წირვის დროს ეკ

ლესიის კათედრილამ არავითარი სიტყვა არ წარმოუთქვამს გაბრიელ გელათის ნივთების თაობაზე, მით უმეტეს ილია ხონელზე; ხოლო მდრიდებით, რომ არავის ერიდებოდა გაბრიელი თავის სიტყვაში, ეს ყველასთვის ცხადია, ვინც კი იცნობდა მას, და ვისაც მისი ქადაგებანი მოუსმენია ანუ წაუკითხავს.

გაბრიელი ოფიციალური ქაღალდებით ან გაზეთების საშუალებით აძლევდა ყველას ჯეროვან პასუხს. არა თუ რუსულსა და ქართულ გაზეთებში იბეჭდებოდა მისი პასუხი გელათის ნივთების შესახებ, არამედ ინგლისურსა და ფრანგულ გაზეთებშიაც კი გადაიტანეს, როგორც მახსოვს, და რომ ბატონი ბახტაძე გარკვეულიყო და საეპარქიო კანცელარიაში შესულიყო, მოეთხოვა გელათის ნივთების საქმე, დარწმუნებული ვარ ზემოთ მოყვანილ უსამართლობას ასცდებოდა, რადგან ყოველი საქმე და შავები, ქაღალდებისა, გაბრიელის ხელით ნაწერი ინახება ზემოხსენებულს კანცელარიაში.

ჩვენ საჭიროთ არა ვსთვლით გამოვაა შკარავოთ ნამდვილი მიზეზები, თუ რათ სწერდა ილია ხონელი ასეთ მკაცრ წერილებს გაბრიელის შესახებ, ვინაიდგან ჩვენ დიდ პატივსა ვსცემთ განსვენებულის საერთო მოღვაწეობას და არ გვინდა გავიხსენოთ ზოგიერთი მიწიერი შეცდომა, რომელიც ამ შემთხვევაში მას მოუვიდა.

დეკ. ი წერეთელი

ვსთხოვ „ცხოვრობის" რედაქციას ეს წერილი გადაბეჭდოს

25 მარტი 1916 დეკ ი წ

3 აპრილი.

დღევანდელ ჩვენი გაზეთის ქრონიკაში მოთავსებულია ცნობა, რომ 3 აპრილს ქ ოზურგეთში მოხდება საყურადღებო თათბირი გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელ დამფუძნებელთა. დიაღ, თათბირი მეტად საყურადღებოა.

თუ დღეს ჩვენ საქართველოში არსებულ ეკონომიურ მდგომარეობაზე გული შეგვტკივა აუცილებლად ეს საქმით უნდა დავამტკიცოთ.

ჩვენი ქვეყნის ისედაც უვარგისი მეურნეობა თანდათან საფრთხეში ვარდება

თუ რუსეთში სასოფლო მეურნეობის განსაცდელის წინაამდეგ მინისტრები ლაპარაკობენ და გრაფი კაპნისტი სასოფლო მეურნეობის საქმეში მთავრობას სთხოვს ყოველ შესაძლო ზომის მიღებას ასე განინჯეთ შინაურ ცხოვრების რევიზიის გაუქმებასაც კი, საქართველოში სასოფლო მეურნეობაზე, ზრუნვა განისაზღვრება თითოეულ ღარიბ გლეხის პრივატულ მოქმედებით არა თუ მთავრობა არ გვაქცევს ყურადღებას, ვერც ჩვენ შეგვიქნია, ერთი საზოგადო ერთეული ორგანო რომელიც საერთოდ საქართველოს სასოფლო მეურნეობაზე იზრუნებდა.

ასეთი ერთეულ ორგანოს დაარსება ჩვენთვის აუცილებელია.

მაგრამ ეს არ მოხდება უცებ, ჯერ ყოველმა მაზრამ, თუ გუბერნიამ ჩვენის ქვეყნისამ ცალკე უნდა მოახდინოს წინასწარი სამეურნეო თათბირი, გაეცნოს თავის მხრის სასოფლო მეურნეობის მდგომარეობას. სწორეთ ამ მიზნით 3 აპრილს ქ. ოზურგეთში (იმედია შემდეგ სხვაგანაც) მოწვეულ იქნება გურიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების დამაარსებელთა თათბირი

სრული იმედი უნდა გვქონდეს, რომ ის, ვინც ჩვენი ქვეყნის მწარე სინამდვილეს ანგარიშს უწევს, ამ თათბირს უყურადღებოდ არ დასტოვებს.

საჭიროა მოხსენებულ თათბირს რაც შეიძლება მეტი დაესწრნენ, სხვა და სხვა დარგის სპეციალისტები.

ირ—დი.

სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა ყრილობა.

სახალხო განათლების მინისტრის გრ. 3. ნ იგნატიევის თავმჯდომარეობით ამ დღეებში დაიწყო სამოსწავლო ოლქების მზრუნველთა თათბირი, რომელშიც, სხვათა შორის მონაწილეობას იღებს კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველი — რუდოლფიც.

კრების გახსნისას განათლების მინისტრმა — იგნატიევმა — მოკლე სიტყვით მიმართა თათბირზე დამსწრეთ და აღნიშნა, რომ ამ თათბირს განსახილველი და საჩქაროთ გადასაწყვეტი აქვს მთელი რიგი საკითხებისა სწავლა-განათლების მოსაწყობად მთელს იმპერიაში ამასთანავე კრებამ უნდა გაარკვიოს ის საკითხიც, თუ როგორ უნდა ტარდებოდეს ცხოვრებაში სამინისტროს მიერ შემუშავებული საერთო ხასიათის ზომები სწავლა განათლების გავრცელებისათ ადგილობრივ. გარდა ამისა, პირადათ თქვენის დახმარებით მსურს გავეცნო სიტყვა მინისტრმა, თუ რა მდგომარეობაშია ამ ჟამათ სწავლა აღზრდის საქმე თქვენდამი რწმუნებულ ოლქებში.

შემდეგ მინისტრმა აღნიშნა, რომ იმ ცნობებისა და განცხადებების მიხედვით, რომელიც წამოაყენეს სახელმწიფო სათათბიროში სახალხო განათლების სამინისტროს ხარჯთაღრიცხვის განხილვის დროს, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს ცენტრალურ სამოსწავლო მთავრობისა და ადგილობრივ მის წარმომადგენელთა შეერთებულსა და შეთანხმებულ მოქმედებას

სახ. სათათბიროს არა ერთხელ აღუნიშნავს ის არა ნორმალური მოვლენა, რომ ცენტრალური მთავრობის განკარგულებანი ისე არ ტარდებიან ცხოვრებაში ადგილობრივ სამოსწავლო უწყების წარმომადგენლების მიერ, როგორც ამას განკარგულებების შინაარსი უკარნახებთ და ეს თუ ის პირი თავისებურათ, თავისი კერძო შეხედულებით ახორციელებს ამ განკარგულებას ცხოვრებაში. ამიტომ მინისტრს საჭიროთ მიაჩნია განაცხადოს საყოველთაოდ, რომ იგი არ შეიწყნარებს ამა თუ იმ პირს, რომელიც ცენტრალურ სამოსწავლო მთავრობის განკარგულებას აეწინაამდეგება მე მესმის, რომ ცენტრალურ მთავრობის განკარგულებამ კრიტიკული შენიშვნა გამოიწვიოს რომელიმე პირისაგან, რომელ შენიშვნასაც ჯეროვანი ყურადღება ექნება მიქცეული, ხოლო წინააღმდეგობას არ დავუშვებ, ვინაიდან სახალხო განათლების საქმეში პასუხის მგებელია მხოლოდ ერთად ერთი მინისტრიო

დასასრულ იგნატიევი მოუწოდებს საოლქო მზრუნველებს ერთსულოვან მოქმედებისათვის სამოსწავლო სამინისტროსთან ერთად.

ამის შემდეგ კრება შეუდგა იმ საკითხების გარჩევას, რომელიც დღიურ წესრიგში იყო შეტანილი. კრებას მოხსენდა, რომ სამინისტროში მოსულ ცნობებით, ს სწავლებლებში გამოცდების მაგიერ შემოღებულ რეპეტიციებს, ზოგიერთ სასწავლებელში ისეთ სახესა და ფორმას აძლევენ, რომ ნამდვილ გამოცდის ხასიათს ღებულობს. ამიტომ საჭიროა შემუშავდეს საერთო წესი ამ რეპეტიციებისა ყველა სასწავლებლისათვის. გრ. იგნატიევი ხაზ გასმით აღნიშნავს, რომ სამინისტროს აზრი იყო და არის რეპეტიციების შემოღებით საშუალება მიეცათ მასწავლებელთ დარწმუნებულ იყვნენ მოსწავლეთა მეცადინეობაში და ამით ეხელმძღვანელად შემდეგ კლასში მათ გადასაყვანათ. ამისათვის სრულებით საჭირო არაა განსაკუთრებული კომისიების შექმნა, დირექტორებისა და კლასის აღმზრდელების საგანგებოთ მიწვევა, — რომელთაც ისედაც შეუძლიათ დაესწრონ ამა თუ იმ გაკვეთილს მზრუნველები დაეთანხმენ მინისტრის განმარტებას და ამ აზრითვე მოახდინენ შესაფერ განკარგულებას ადგილობრივ თავის სამოსწავლო ოლქებში.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა საკითხი ექსტერნების გამოცდისა დაადგინეს, რომ ექსტერნების გამოცდა უნდა სწარმოებდეს მთავრობის ყველა სასწავლებელში, ხოლო იმ ქალაქებში, სადაც ასეთი სასწავლებელი არაა, კერძო თანაბარ უფლებიან სასწავლებელში მოხდება გამოცდა.

გამოქცეულთა შესახებ, რომელნიც შუა სამოსწავლო წელში შევიდენ სკოლაში, კრებამ გამოცდები სცნო საჭიროდ.

შემდეგ კრებამ განიხილა ის საკითხი, თუ როგორ უნდა სწარმოებდეს საგანგებო გამოცდები კერძო სასწავლებელში, სადაც ოლქის დეპუტატი ესწრება თათბირმა მიიღო, სხვათა შორის, შემდეგი დასკვნა: საოლქო დეპუტატებს მოვალეობა მხოლოდ თვალყური ადევნოს გამოცდებს მათ არ ექნებათ უფლება ეგზამენატორის როლი მიიღონ ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით.

დასასრულ ითათბირეს მეცადინეობის შეწყვეტის შესახებ სასწავლებლებში და ის აზრი გამოითქვა, რომ ეს საკითხი ადგილობრივი პირობების მიხედვით საოლქო მზრუნველებმა გადასწყვიტონო.

(ზ.)

სახელმწ. სათათბირო.

26 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობს **როძიანკო** კამათი სწარმოებს საბიუჯეტო კომისიისა და სახელმწიფო კონტროლის შესახებ. მიმდინარე წლის პირველ დასაწყისში სახელმწიფო სესხი აღწევდა 1,887,707,735 სესხის ასე არაჩვეულებრივად გაზდის გამო, ვროქნევმა საფინანსო რეფორმის მოხდენა მოითხოვა

შინგარევმა შეეხო ახალ საშინაო სესხს და განაცხადა, რომ ყოველი მოქალაქის მოვალეობა უნდა იყოს სესხის საქმეზე ზრუნვა, რადგან ამაზე დამოკიდებულია ჩვენი ხალხის უცხოთა კაპიტალისაგან განთავისუფლებაო. შინგარევმა აღნიშნა, რუსეთს, რომელიც ამ ომის დროს მეტად მძიმე პირობებში ჩავარდა, მოკავშირე სახელმწიფოებმა ნივთიერად უთუოდ დახმარება უნდა გაუწიონ და აგრეთვე მას, ვისაც ბედმა არ არგუნა მოწინავე პოზიციებზე ყოფნა, ვალდებულია ღრმად შეიგნოს თავის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. შინგარევს გამოელაპარაკა მარკოვი მეორე, რომელმაც მხარი დაუჭირა წარმოთქმულ სიტყვაში, მაგრამ მოითხოვა, რომ მოკავშირე სახელმწიფოებმა, რუსეთს, არა მარტო ნივთიერად მხარი უნდა დაუჭირონ, არამედ სუბსიდია უნდა დაუნიშნონო შინგარევმა განაცხადა: სუბსიდია ჩვენი სახელმწიფოებრივი თავმოყვარეობის დამცირება იქნებაო.

კრუპენსკი უთითებს, რომ ამ ომის დროს, როდესაც სახელმწიფო დიდ კრიზისს განიცდის, ჩვენი ქალები ამას ანგარიშს არ უწევენ და სხვადასხვა ახალ მოდის ტანსაცმელებისთვის ათასობით ხარჯვენო, საჭიროა დღეს რუსეთის ქალებმა საკმაოდ კაითვალისწინონ არსებული მდგომარეობა და მოდამოდე ტანისამოსის გამოცვლას თავი დაანებონ, რადგან ამას მოითხოვს თანამედროვე ჩვენი ინტერესებიო

(შემდეგი იქნება)

სახელმწიფო საბჭო.

26 მარტი

მინისტრთა საბჭომ გოფმეისტერ შტიურმერის თავმჯდომარეობით მოიწონა კანონპროექტი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით გადავიდეს სამასიათასი მანეთი ოსმალეთის იმ ქვეშევრდომ ქრისტიანთა დასახმარებლად, რომლის ტერიტორიაც რუსის ჯარმა დაიკავა აგრეთვე დახმარება აღეთქვა ქურთების მიერ აკლებულ სოფლებს მათ მეურნეობის აღსადგენათ სათანადო თანხას პირდებიან.

მინისტრთა საბჭომ დაადგინა აგრეთვე სასულიერო პირთ, რომელთაც სემინარია აქვთ გათავებული, უფლება ეძლევათ დაიკავონ მეთვალყურეობის ადგილები, სამაზრო სასწავლებლებში.

შემდეგ შეეხენ მრეწველობისა და ვადასახადების საკითხს.

(შემდეგი იქნება)

დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

საფრანგეთის ასპარეზი

პარიზი. ვერდენთან მტერმა დიდი შემოტევა დაიწყო, მაგრამ უკუგდებულ იქნა გერმანელებმა 20 კილომეტრის მანძილზე წინ წამოიწიეს, მაგრამ დიდი ზარალი ნახეს

ინგლისის ასპარეზი.

ლონდონი საიანალის მიმართულებით ინგლისელები წინ მოიწევენ. ამინდი თანდათან უმჯობესდება, წყალდიდობა ჩადგა

პეტროგრადი. იმპერიის ყველა კუთხიდან ცნობა მოვიდა, რომ სახელმწიფოს ახალ სესხის საქმე ძლიერ კარგად მიდისო.

შიოს დილა—25 მარტი.

(შთაბეჭდილებანი).

თეატრი გაჭედილია საზოგადოებით. დღის პირველი საათი იწყება. ფარდა ჩამოშვებულია. საზოგადოება დიდი სიამოვნების მოლოდინშია: ფარდის ახდა', ძაა შიოს დანახვას გულის ფანცქალით ელის.

ფარდა ახდა სცენა საუცხოოთაა მორთული ცოცხალი ყვავილებით და მწვანით. მისაკი სამკრად გუგუნებს; სცენაზე გამოდიან ცეკვა, ცქრიალა, მოცისფრო, ტურფად მორთული ბავშვები თავიდგულებით ხელში. ყვავის სახეზე ნათლათა დაკეცილი უმანკო, გულწრფელი, სიყვარულით აღგზნებული ნეტარება, სიამოვნება, სიტკბოება. ისინი თრ რიგათ სდგებიან შემოდის ძაა შიოც, გურულად გამოწყობილ ბავშვებთან ხელჩაკიდებული. გრიალებს ტაში.., სცენა მთლად მოქარგულია თავლწარმტაცი ცეცხებით, ცეცხლი თავზეღებით ძაა შიო ნაზდულია მას სიყვარულ ბავშვებში, თავგულებში იწყება დილის პირველი ნაწილი: მისალმება. ბავშვები უკეთხავენ თავის სულის მესაიდუმლეს, საყვარელ მგოსანს, ძაა შიოს შესაფერ ლექსებს ძაა შიო ყოველი ლექსის კითხვის დროს ფეხზე სდგას, წამკითხველს კოცნის, ულოცავს. წამკითხველები მას თავგულს მასთავაზებენ ძაა შიოს მშვიდი სახე, სათნოებით, უსაზღვრო სიხარულით ავსილი თვალები სიამოვნებით ენთებიან. საზოგადოების აღტაცებას საზღვარი აღარა აქვს. გრიალებს ტაში... ყრუებს იქაურობას ძნელი წარმოსადგენია ის აღფრთოვანება, ის გრძნობის სიძლიერე, ის გულწრფელი სიყვარული, ის მთელი არსებით აღტაცება.. და შორს... შორს სდგას მიუწდომელ სივრცეში გადასტყორცნა, რომელსაც განაცდიდნენ ბავშვები და დიდები. დილის მეორე ნაწილში დიდები მამართავენ ძვირფას სტუმარს შესაფერი სიტყვებით, მილოცვებით. საუცხოოდ ცოცხალი სურათი: შიო თავის გვირგვინში. უკვე სადამოს მეხუთე საათი იწყება. დილაც თავდება. საზოგადოება ფრიად ნასიამოვნები იშლება.

დიაღ, ძვირფასო შიო, ჩვენი ნორჩების სულისა და გულის საუკეთესო იდეალების აღმძვრელო და აღმზრდელო, იმათ ტკბილო მეგობარო, მათი უმანკო სულის მესაიდუმლევ, შენ მათ გულში უკვე დაიდგი ხელთუქმნელი უკვდავი ძეგლი, ძეგლი, აშენებული უმანკო სულში ჩაფრქვეული თვალ-მარგალიტით, ძეგლი, რომლის ცხოველი ფესვები ღრმათა და მჭიდროთაა ჩაქსოვილი, ჩანერგილი მათი სულის უნაზესს, უწმინდესს, უსათუთესს საგანძურში

მრავალ ჟამიერ შენს სიცოცხლეს, ტკბილო მგოსანო!.. მხნეობა, შეუდრეკელობა, სიძლიერე შენს წმინდა კალამს!

ს. მჭედლიძე.

წერილი რედაქციის მიმართ.

ბ-ნო რედაქტორო!

გთხოვთ თქვენ პატივცემულ გაზეთში მოათავსოთ ეს მცირე განმარტება.

27 მარტს ქუთ სახალხო უნივერსიტეტის არჩევნებზე სხვათა შორის ... ჩემი კანდიდატურაც. ამის ... მომაწონა განცხადება ... არ ვიცოდი, რომ ... წამოაყენებდა, ხოლო როცა დამასახელეს, წინააღმდეგი არსებითად არაფერი მქონია, მაინც უარი განვაცხადე, რადგან სხვა მიზეზების გამო, სხვათა შორის იმიტომ, რომ საეგზამენოთ რუსეთში ვერ წასვლა ... მე ვერ შევძლებდი ჩემი მოვალეობის ასრულებას ისე, როგორც ეს მესმის. ამიტომ უარი ვსთქვი.

აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ნებადართვა ჩემი პრინციპში იყო და არის სხვათა: ... დაწესებულებაში, როგორიცაა სახ. უნივერსიტეტი და სხვა, უნდა იქნეს არჩეული ის, ვისაც აქვს მეტი მომზადება, მოქმედების უნარი და ვისაც სახალხო საქმისადმი წრფელად გული შესტკივა. ვინც ამას ცხოვრებაში გაატარებს, ჩემი თანაგრძნობაც მათკენ იქნება

ლეო მენაბდე

ღრმად მადლობას ვუძღვნი ბ. შიო მღვიმელს, რომელმაც კეთილი ინება უფასოთ მათმათ თვალსაჩინო ცალი წიგნისა: „ჩემი გულები" ბიბლიოთეკისა რიკოთის და სხვა ... რაიონის სკოლებისათვის.

ს. მჭედლიძე

რკინის გზის მიმოსვლა.

ქ. ქუთაისს მოდის.

თფილისიდან	— დილის	— 5 ს. 56
„	— საღამ.	— 6 ს. 57
ბათომიდან	— დილით	— 1 ს. 25
„	— ღამის	— 2 ს. 23
ფოთიდან	— დილის	—10 ს. 8
ტყიბულიდან	— საღამოს	— 7 ს. 39
შორაპნიდან	— დილის	— 9 ს. 18

ქ. ქუთაისიდან გადის

თფილისისაკენ	— დილის	— 11 ს. 55
„	— ღამის	— 1 ს. 7
ბათომისაკენ	— დილით	—5 ს. 30
„	— დილის	— 4 ს. 27
ფოთისაკენ	— დილის	— 4 ს. 27
ტყიბულისკენ	— დილის	— 6 ს. 20
შორაპნისაკენ	— დილით	— 5 ს. —

რედაქტორი **ი. ცინცაძე.**
გამომცემელი ამხანაგობა **„სამშობლო"**

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში

(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი);

— მიღებულია დიდძალი —

საპნის გასაკეთებელი სოდა

აქვე იყიდება ყოველგვარი ბაყალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.

უკაცობა და ნევრასტენია.

უკაცობისა და ნევრასტენიის დროს ავადმყოფები დიდი სიფრთხილით უნდა მოიქცნენ სამკურნალო საშუალებათა ამორჩევაში. ბევრგვარი საშუალება არსებობს, რომელიც დროებით ამაგრებს ნერვიულ სისტემას, ხოლო შემდეგ უფრო ავითარებენ ავადმყოფობას. ნამდვილ მეცნიერულათ მომზადებულ და ცნობილ პროფესორებისაგან მოწონებულ საშუალებათ უკაცობის დროს ითვლება რადიკალური ფრანგული პრეპარატი

გრანული ექ. გლეზისა.

გრანული ექ. გლეზისა მრავალნაირათ გამოსცადეს ევროპის სხვილ კლინიკებში და მეცნიერების წარმომადგენლებისაგან ცნობილ იქნა, როგორც რადიკალური და უტყუარი საშუალება სხვადასხვაგვარ ფორმის სქესურ იმპოტენციის და ნერვიულ სისუსტის წინააღმდეგ წამლობისათვის.

გრანული ექ. გლეზისა პირდაპირ მოქმედებს ნერვიულ — სქესურ ცენტრზე, რომელიც სქესურ მოქმედებას ხელმძღვანელობს, ამაგრებს მათ, სპობს სისუსტეს და აახალებს ნორმალურ სქესურ ფუნქციებს. ამასთანავე **გრანული** მთელს ნერვიულ სისტემას ასაზრდოებს ფოსფორით, ახალებს მთელს ნერვიულ ძაფებს, სპობს სისუსტეს, უმატებს ძალას, სპობს სულით დაავადმყოფობას, გულის ცემას, თავის ტკივილს და სხვა ნიშნებს ნევრასტენიისას.

გრანული ექ. გლეზისა — ერთადერთი საშუალებაა, რომელსაც აუცილებლათ ურჩევენ გამოჩენილი პროფესორები ყოველგვარ სისუსტის წინააღმდეგ და დიდი წარმატებით ხმარობენ ევროპის სანატორიებში, კლინიკებსა და საავადმყოფოებში.

გრანული იყიდება ქუთაისში მხოლოდ ქუთაისის განყოფილებაში „საქიმო პრაქტიკულ ლაბორატორიისა" **ა. შავერზაშვილს** სააფთიაქო მაღაზიაში,

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ.

ფასი ერთი ყუთისა — 5 მანეთი. სრულ განთავისუფლებისათვის საჭიროა 2—3 ყუთი.

მრავალ მოწონებათა შორის, რომელიც გამოთქმულია პროფესორებისა, ექიმებისა, და ავადმყოფების მიერ, უადგილობის გამო აქ მოგვყავს მხოლოდ ერთი ცნობილი ექიმის — სტატსკი სოვეტნიკის ვ. ვ. ხრულის 50 წლის პრაქტიკანის აზრი ამ წამლის შესახებ.

მ. ხ. ექ გლეზის მიერ მომზადებული პრეპარატი მე ვიხმარე სამი მძიმე ავადმყოფის წამლობის დროს და დავრწმუნდი, რომ პრეპარატი ექ. გლეზისა შეუდარებელ და უტყუარ საშუალებათ ესცანი. თუნდაც მცირე დოზა საწყის დღეში ორჯერ რომ მიიღოს ავადმყოფმა, ათი დღის შემდეგ უკვე დარწმუნდება ამ წამლის წარმატებაში. 48 წლის პრაქტიკის დროს მე ბევრგვარი საშუალება მიხმარია ახლათ თუ ძველათ გამოგონილი, მაგრამ სიმართლე უნდა ვსთქვა, რომ გლეზის პრეპარატს პირველი ადგილი უკავია მათ შორის ნერვების გამაგრებისა და კაცობის აღდგენაში.

(წლიური) 9 დოკტ. სტ. სოვ. ვიქენტი ვიქენტის ძე **ხრული.** ქ. ოდესა.